KA021746474881813

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N1/1-791

13 / სექტემბერი / 2013 წ.

შპს "იმედის" დირექტორის თანამდებობიდან ბაჩუკი ნოზაძის გათავისუფლების,ამავე თანამდებობაზე ნუგზარ ბოლქვაძის დანიშვნისა და შპს "იმედი"-ს საფირმო სახელწოდების შეცვლის შესახებ

,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,სახელმწიფო ქონების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 12.09.2013 წლის №01/81960 და 12.09.2013 წლის №01/82163 წერილების, შპს "იმედის" დირექტორის ბაჩუკი ნოზაძის 12.09.2013 წლის (შემოსვლ. №34608/05) და მოქ. ნუგზარ ბოლქვაძის 2013 წლის 12 სექტემბრის განცხადებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან შპს "იმედი"-ს (ს.კ. №236035517) დირექტორი ბაჩუკი ნოზაძე პირადი განცხადების საფუძველზე;

2. შპს "იმედი"-ს დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნოს ნუგზარ ბოლქვაძე (მცხოვრები: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №12, ბ2, პირადობის მოწმობის №11IB14121; პირადი №01008008307; ელექტრონული ფოსტის მისამართი: nugzar.bolkvadze1@gmail.com; ტელ: 597258877) პირადი განცხადების საფუძველზე.

3. შპს "იმედი"-ს დირექტორის შრომითი ანაზღაურება (ყოველთვიური ხელფასი) განისაზღვროს 2500 (ორიათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

4. შეეცვალოს საფირმო სახელწოდება შპს "იმედს" (ს.კ. №236035517) და ეწოდოს შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი".

5. დაევალოს შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი"-ს დირექტორს (ნ. ბოლქვაძეს), ბრძანების გამოქვეყნებიდან

ორი კვირის ვადაში, დადგენილი წესით, უზრუნველყოს, შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და რეგისტრაციის შემდეგ დოკუმენტაციის სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში'' წარმოდგენა;

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს'' სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამანეტის საწარმოთა მართვის სამმართველოს უფროსს დავით მიქაძეს.

7. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

დიმიტრი ქუმსიშვილი